საწვავის ნასყიდობის გენერალური ხელშეკრულება
N12

ქ. თბილისი 19 აპრილ 2022 წელი

ერთის მხრივ შპს **„**ლუკოილ-ჯორჯია**“** (ს/კ **204976302**) (შემდგომში: გამყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხაილო ჯუროვიჩის სახით და მეორეს მხრივ ა(ა)იპ ახალქალაქის სერვისცენტრი (ს/ნ 423355407) (შემდგომში: მყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მ.შ. მხითარ რსტაკიანის სახით**,** ერთობლივად წოდებულნი „მხარეები“,” სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს # 37149 ნებართვის საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინები

მოწყობილობა - სპეციალური ტექნიკური და პროგრამული საშუალება, რომელიც გამიზნულია საბარათე ოპერაციების განსახორციელებლად;

ბარათი - „ლუკოილი“-ს საწვავის ბარათი უნიკალური გრაფიკული ნომრით, რომელიც წარმოადგენს გამყიდველის სისტემაში მყიდველის იდენტიფიკაციის საშუალებას. გამყიდველი მყიდველს გადასცემს ბარათს ამ უკანასკნელის განცხადების საფუძველზე, რომელიც გაკეთებულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №3-ის შესაბამისად (შემდგომში -განცხადება) მხარეთა მიერ შეთანხმებული ოდენობით საწვავის მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით. განცხადების ფორმა განთავსდება გამყიდველის საიტზე.

საიტი - გამყიდველის ოფიციალური ინტერნეტ-გვერდი შემდეგი მისამართით: https://lukoil.ge;

ანალიტიკური ანგარიში - სისტემაში მყიდველის ანალიტიკური ანგარიში, რომელშიც აისახება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მხარეთა შორის ანგარიშწორების მდგომარეობაზე ინფორმაცია (შემდგომში -ბალანსი);
სავაჭრო ადგილები - სავაჭრო ადგილები, რომლებიც აღჭურვილია ბარათის საშუალებით საწვავის ჩასხმის მოწყობილობით;

სავაჭრო ადგილების სია - განთავსდება გამყიდველის მიერ საიტზე. აღნიშნული ჩამონათვალი ასევე შეიცავს ინფორმაციას სავაჭრო ადგილზე დაწესებული შეზღუდვების/აკრძალვების შესახებ;

ბარათის მფლობელი - მყიდველი ან მისი წარმომადგენელი;

მყიდველი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელთანაც გამყიდველმა გააფორმა წინამდებარე ხელშეკრულება;

მომსახურების სერვისები - ბარათით მომსახურება, ანალიტიკური ანგარიშისა და ტექსტური შეტყობინების წარდგენა, რომელსაც გამყიდველი სთავაზობს მყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში. ანალიტიკური ანგარიშის წარდგენა ხორციელდება პირადი კაბინეტის საშუალებით;

პირადი კაბინეტი - საიტზე მყიდველის ვებ-გვერდი, რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ კლიენტისათვის მომხმარებლისა და პაროლით იდენტიფიკაციის გავლის შემდეგ;

ბართის მოქმედების ტექნიკური ვადა - ვადა, რომლის განმავლობაშც შესაძლებელია ბარათის გამოყენება. ბარათზე მიეთითება მისი ტექნიკური ვადის გასვლის თვე/წელი. ბარათი შიძლება გამოყენებულ იქნას მასზე მითითებული თვე/წლის გასვლამდე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. 09132000-ბენზინ ევრორეგულარი **(**ოქტანობა- არანაკლებ **92)** გატანა ავტოგასამართ სადგურიდან 1001 ლიტრი ერთი ლიტრის საფასური შეადგენს 3,51 ლარი, ჯამი 3513.51 ლარი

2.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გამყიდველი იღებს ვალდებულებას ჩაუსხას მყიდველს ნავთობპროდუქტი საქართველოს ტერიტორიაზე „ლუკოილ-ჯორჯია“-ს ავტოგასამართ სადგურებზე საბარათე სისტემის საშუალებით, ხოლო მყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს და გადაიხადოს თანხა მიღებული ნავთონპროდუქტებისთვის წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

2.3. მყიდველის ავტომობილისთვის საწვავის ავზის შევსება ხორციელდება საწვავის ბარათის საშუალებით გამყიდველის აგს-ებზე, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ № 2-ში.

2.4. გამყიდველი საკუთარი ხარჯითა და საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით შეიმუშავებს და ნერგავს აუცილებელ სპეციალურ მოწყობილობას და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას ნავთობ პროდუქტების გაყიდვებისა და აღრიცხვის ორგანიზებისათვის.

2.5. ბარათების საშუალებით მიწოდებული საწვავის მიღება აგს-ებზე და ტრანსპორტირება ხდება მყიდველის სახსრებითა და ძალების გამოყენებით მისივე პასუხისმგებლობის ქვეშ.

3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

3.1. გამყიდველი ვალდებულია**:**

3.1.1. ჩაუსხას მყიდველს ნავთობ პროდუქტი საბარათე სისტემის საშუალებით წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მყიდველის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და ფულადი სახსრების მიღების შემდეგ;

3.1.2. ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
3.1.3. გაანაღდოს მყიდველის ბარათები ,,ლუკოილ-ჯორჯია''-ს აგს-ებზე მყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

3.2. მყიდველი ვალდებულია**:**
3.2.1. გამყიდველს წარუდგინოს შევსებული და დამტკიცებული განცხადება საბარათე სისტემის საშუალებით საწვავის ყიდვის თაობაზე წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
3.2.2. განახორციელოს თანხის გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
3.2.3. დაიცვას ბარათი მესამე პირთა მხრიდან მისი არასანქცირებული გამოყენებისაგან, დაიცვას მისი კონფიდენციალურობა და არ გაამჟღავნოს ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები. გამყიდველს ეკისრება სრული მატერიალური პასუხისმგებლობა ბარათის თაღლითური ან სხვა უკანონო გამოყენებისათვის, ბარათის PIN კოდისა და ბარათთან დაკავშირებული სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გამჟღავნებისთვის;
3.2.4. გამოიყენოს ბარათი მხოლოდ დანიშნულებისამებრ და გამყიდველის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად (შემდგომში- ბარათის გამოყენების წესები). ბარათის გამოყენების წესები გამყიდველის მიერ გამოქვეყნდება საიტზე;
3.2.5. ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
3.3. გამყიდველს უფლება აქვს**:**
3.3.1. დროებითი უარი განაცხადოს საწვავის ბარათით განაღდებაზე მოწყობილობის ან/და ბარათის გაუმართაობის პერიოდში, რაც არ წარმოადგენს გამყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევას;
3.3.2. მყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, გამყიდველს უფლება აქვს დაბლოკოს ბარათი მყიდველისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე. ბარათის განბლოკვა, რომელიც დაიბლოკა წინამდებარე პუნქტის შესაბამისად, ხდება ბარათის დაბლოკვის საფუძვლის გამოსწორების მომენტიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;
3.3.3. ცალმხრივად შეიტანოს ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში, მათ შორის, არ შემოიფარგლება, შეიტანოს ცვლილება საწვავის ფასებში, სერვისებით მომსახურებაში, ფასდაკლებებში და სხვა მომსახურებებში, რის შესახებაც ინფორმაცია განთავსდება საიტზე.ხელშეკრულების არსებითი პირობების ცვლილებისშემთხვევაში, ასეთი ცვლილებები ფორმდება წერილობითი ფორმით. იმ შემთხვევაში, თუ ცვლილებები/დამატებები განთავსება საიტზე, ისინი ძალაში შედის მათი განთავსებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის გასვლის შემდგომ;
3.3.4. მოითხოვოს მყიდველისაგან საწვავის ფასის დროული გადახდა თანახმად წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა;
3.3.5. მოითხოვოს მყიდველისაგან ზიანის ანაზღაურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
3.3.6. მოიპოვოს და დაამუშავოს მყიდველის პირადი ინფორმაცია წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.4. მყიდველს უფლება აქვს**:**
3.4.1. შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება გამყიდველის მიერ პირობების ცამხრივად ცვლილების შემთხვევაში გამყიდველის მისამართზე ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შესაბამისი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით ცვლილებების/დამატებების ძალაში შესვლის ტარიღამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში ითვლება, რომ მყიდველი ეთანხმება ახალ პირობებს.

4. ბარათის გადაცემის წესი**,** საწვავის განარდება ბარათის საშუალებით
4.1. გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ბარათის გადაცემის ფაქტზე ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ბარათის ნომრის მითითებით, რომელსაც ხელი მოეწერება მხარეთა მიერ ბარათის ფაქტიურად გადაცემის მომენტში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4.2. საწვავის ფაქტიური რაოდენობა, დასახელება (სახეობა), ფასდაკლება და ღირებულება განისაზღვრება გამყიდველის აღრიცხვის სისტემისა შესაბამისად.
4.3. მყიდველის მიერ გამყიდველისგან საბარათე სისტემის საშუალებით განაღდებული საწვავის რაოდენობის, დასახელების (სახეობის), ფასდაკლების და ღირებულების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს ბარათებით ოპერაციების რეესტრი და ნავთობპროდუქტების სპეციალური ანგარიშ-ფაქტურა (შემდგომში -ენსაფ).
4.4. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში გამყიდველს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ნებისმიერი ფორმით განაცხადოს უარი ნავთობპროდუქტების საბარათე სისტემით ჩასხმაზე, რაც არ წარმოადგენს ხელშეკრულების პირობების დარღვევა და მყიდველის წინაშე არ დადგება პასუხისმგებლობის საკითხი.
4.5. საწვავის ბარათების შეძენა ხდება მყიდველის მიერ შევსებული განცხადების საფუძველზე. განცხადების ფორმა იტვირთება გამყიდველის საიტზე და მყიდველს აქვს შესაძლებლობა დისტანციურ რეჟიმში შეავსოს ის.

4.6. განცხადება აუცილებლად უნდა შეიცავდეს: მყიდველის დასახელებას, საიდენტიფიკაციო ნომერს და სხვა მონაცემებს, რომლებიც მითითებული იქნება განცხადებაში.
4.7. განცხადების შევსების შემდეგ, გამყიდველი უგზავნის მყიდველს ინვოისს, რომლის საფუძველზეც მყიდველი იხდის თანხას და იღებს საწვავს.
4.8. ბარათის საშუალებით საწვავის ყიდვის შემთხვევაში გამყიდველი მყიდველს უწერს ენსაფ-ს. მყიდველი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაადასტუროს წინამდებარე სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები. ენსაფ-ის დადასტურების გარეშე გამყიდველის მიერ არ განხორციელდება საწვავის ლიმიტის დასმა საწვავის ბარათზე.
4.9. მხარეები თანხმდებიან, რომ მყიდველს არანაირი საფუძვლით არ შეუძლია იდაოს ელექტრონულად დადასტურებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ფაქტზე, რამდენადაც მხოლოდ მყუდველს აქვს შესაბამის ელექტრონულ საშუალებებთან წვდომა. ანგარიშ-ფაქტურების დადასტურების პროცესი არ კონტროლდება

გამყიდველის მიერ, და მყიდველი თავად განსაზღვრავს პირს, რომელსაც პირდაპირ აქვს უფლება ელექტრონული ფორმით დაადასტუროს ნსაფ.

4.10. გამყიდველი მყიდველს აფრთხილებს, რომ საწვავის ბარათის ერთჯერადი ღირებულება შეადგენს **5.00 (**ხუთი**)** ლარს.

4.11. გამყიდველი მყიდველს აცნობებს, რომ საწვავის ბარათის მოქმედების ვადა შეადგენს **1** წელს.

4.12. მყიდველი ვალდებულია შესაბამისი საწვავის ბარათის ტექნიკური გამოყენების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა მიმართოს გამყიდველს წერილობითი ფორმი, რომელიც გაფორმებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი № 4-ის შესაბამისად (შემდგომში - განცხადება) და მიიღოს ახალი ბარათი გამყიდველის ოფისში. განცხადების ფორმა გამყიდველის მიერ განთავსდება საიტზე.

4.13. ახალი ბარათის გადაცემაზე ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელი ეწერება მხარეთა მიერ.

4.14. ახალი ბარათის დამზადების ხარჯების გადახდა ეკისრება მყიდველს.

4.15. განცხადების შევსების მომენტში მყიდველს უფლება აქვს მიუთითოს ან განსაზღვროს პირი ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლებსაც შეუძლიათ გამოიყენონ საწვავის ბარათი. ამასთან, მყიდველს ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ ის გადასცემს ბარათს სხვა პირს, რომელსაც არ აქვს მყიდველის სახელით მისი გამოყენების უფლება.

4.16. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში პირველადი პერსონალური მონაცემების მიღება-ჩაბარებაზე, ასევე საწვავის ბარათების მიღება-ჩაბარებაზე|ხელმოწერაზე, ბარათების შეკვეთასა და შესაბამისი განცხადების ხელმოწერაზე და სხვა წინამდებარე ხელშეკრულებით ქმედებების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი მყიდველის მხრიდან არის:ა(ა)იპ ახალქალაქის სერვისცენტრის დირექტორი არმენ ბიჩახჩიანი აღნიშნული პირის უფლებამოსილება არ შეიძლება გახდეს სადაო მყიდველის მხრიდან. აღნიშნული პირის უფლებამოსილების გაუქმება ან შეზღუდვა იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველს წერილობითი ფორმით ეცნობება აღნიშნულის თაობაზე. სხვა პირისათვის მსგავსი უფლების მინიჭება შესაძლებელია შესაბამისი წერილობითი მინდობილობით ან მხარეთა შეთანხმებით.

4.17. გამყიდველი მყიდველს თავის საიტზე გაუხსნის პირად კაბინეტს, რომლის საშუალებითაც მყიდველი უზრუნველყოფს არსებული ნაშთების ფარგლებში შეუზღუდავად თავისი შეხედულებისამებრ, მოახდინონ აღნიშნული საწვავის გადანაწილება მის კუთვნილ ერთ ან რამდენიმე საწვავის ბარათზეინტერნეტით, გამყიდველის საიტის საშუალებით მყიდველის საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის გამოყენებით. საიდენტიფიკაციო სახელი და გვარი გადაეცემა წინამდებარე ხელშეკრულების 4.16. პუნქტში მითითებულ უფელაბამოსილ პირს.

4.18. საწვავის ბარათების დაკარგვის შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია დაუყონებლივ, წერილობითი ფორმით გააფრთხილოს გამყიდველი აღნიშნულის შესახებ. ამასთან, გამყიდველს არ ეკისრება არანაირი პასუხისმგგებლობა არაუფლებამოსილი პირების მიერ საწვავის ბარათის გამოყენებაზე.

5. გადახდის წესი

5.1. მყიდველი გამყიდველს ბარათით მიღებული საწვავის ღირებულებას უხდის წინასწარ, საწვავის მიღებამდე გამყიდველის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.

5.2. გადახდის ფორმა მყიდველის სურვილის შესაბამისად ნაღდი-ან უნაღდო ანგარიშწორება.

5.3. გადახდა მოხდება ეროვნულ ვალუტაში, ლარში.

5.4. გადახდის დღედ ითვლება სრული თანხის ასახვის დღე გამყიდველის საბანკო ანგარიშზე. მყიდველის მიერ თანხა გადახდა უნდა განხორციელდეს საბანკო საათბში, რათა მოხდეს მისი გგამტიდველის ანგარიშზე ასახვა გადმორიცხვის დღესვევ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს საწვავის ფასის ცვლილება და მომდევნო დღეს მისი კორექტირება, რაც მყიდველისთვის ცნობილია და არ ექნება პრეტენზია, რასაც მყიდველი ადასტურებს წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით.

5.5. თუ გადახდის დღე ემთხვევა კვირას ან სხვა არასამუშაო დღეს, გადახდა უნდა განხორციელდე ს შემდეგ პირველ სამუშაო დღეს.

5.6. მხარეთა მიერ საწვავის შეთანხმებული რაოდენობა და ღირებულება აისახება ინვოისსა და ნავთობპროდუქტების სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში, რომელიც წარედგინება მყიდველს გამყიდველის მიერ.

5.7. გამყიდველი მყიდველს აწვდის საწვავს ბართის საშუალებით ფასდაკლებით გამყიდველის კორპორატიული შინაგანაწესის შესაბამისად. ფასდაკლებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1-ში.

5.8. პლასტიკური ბარათებით საწვავის მიწოდებისას საწვავის ფასი შეიცავს ყველა ხარჯს, რაც დაკავშირებულია მის მიწოდებასთან, მათ შორის შენახვისა და საწვავის ბარათებით მომსახურების ხარჯებს.

6. პასუხისმგებლობა

6.1. მხარეებს ერთმანეთის მიმართ ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. ზიანის, ზარალის ანაზღაურება და ჯარიმებისა და პირგასამტეხლოების გადახდა არ ათავისუფლებს დამნაშავე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.3. გამყიდველს არ ეკისრება პასუხისმგებლობა მყიდველის მიერ ბარათის მესამე პირებისათვის გადაცემაზე, რომელთაც არ აქვთ უფლება ჰქონდეთ აღნიშნული ბარათი.

6.4. იმ შემთხვევაში, როცა ბარათი იქნება მიღებული მოწყობილობის მიერ და ოპერაცია იქნება შესრულებული, აღნიშნული ნიშნავს, რომ გამყიდველმა საწვავის ბარათის საშუალებით მიწოდების ვალდებულება შეასრულა ჯეროვნად.

6.5. ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში, რომელიც გამოიხატება ბარათის უკანონო დამზადებაში და დეფექტებში, მყიდველს ეკისრება სრული მატერიალური და არამატერიალური პასუხისმგებლობა.

6.6. გამყიდველს არ ეკისრება პასუხისმგებლობა საწვავის ჩასხმაზე, თუ მყიდველის მიერ არ არის გადახდილი თანხა წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრამდე .

7.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

7.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით და მხარე, რომელიც წყვეტს ხელშეკრულებას ვალდებულია წერილობითი ფორმით შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს შეწყვეტამდე30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.

7.4. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა/მოშლა არ უკარგვას მხარეს უფლებას მოსთხოვოს მეორე მხარეს იმ ფულადი ვალდებულების შესრულება, რომელიც წარმოიშვა ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

8. კონფიდენციალურობა

8.1. ნებისმიერი ინფორმაცია ან დოკუმენტი, რომელიც ხელშეკრულების მხარემ უნდა გადასცეს მეორე მხარეს ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღამდე, ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტისას ან მოქმედების დასრულების შემდეგ, ან რომელიც უნდა შედგეს რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერისას, საჯარო მონაცემების გარდა, განიხილება კონფიდენციალურად და ისინი არ უნდა იქნეს გადაცემული მესამე პირთათვის, მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის ან დოკუმენტების გამჟღავნება ხდება კანონის საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების 8.1. მუხლში გათვალისწინებული ვალდებულება ძალაში რჩება ხელშეკრულების ვადის გასვლიდან/შეწყვეტიდან განუსაზღვრელი ვადით.

9. პერსონალური მონაცემები

9.1. წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით მყიდველი გამყიდველს ანიჭებს უფლებამოსილებას ნავთობპროდუქტის ბარათების საშუალებით მიწოდების პროცესის/სახელშეკრულებო ურთიერთობის გამართულად წარმართვის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით მოიპოვოს, შეაგროვოს, შეინახოს და დაამუშავოს მისი პერსონალური მონაცემები;

9.2. მყიდველი ანიჭებს გამყიდველს უფლებამოსილებას, რომ მყიდველის მიერ მოწოდებული პერსონალური მონაცემები დამუშავდეს ისეთი მიზნებისთვის, როგორიცაა: (1) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, (2) შესაბამისი საწვავის ბარათების შენარჩუნება და გამოყენება, (3) ხარისხის, კლიენტებისა და რისკის მართვის შემოწმებები, (4) მყიდველისთვის ინფორმაციის მოწოდება, მათ შორის ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით, (5) დავა და სამართალწარმოება, (6) კანონმდებლობის ან რეგულაციის მოთხოვნებთან შესაბამისობა, (7) პირდაპირი მარკეტინგის და მარკეტინგული კვლევის მიზნებისთვის, (8) სხვა ოპერაციები, რომლებიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მყიდველი აცხადებს, რომ თანახმაა მისი პერსონალური მონაცემები გამოყენებულ იქნას მომხმარებელთა ბაზაში დარეგისტრირებისა და გამყიდველის სამეწარმეო საქმიანობაში გამოყენების მიზნით, გამყიდველის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციით განსაზღვრული ვადით ან იმ ვადამდე, სანამ იგი მყიდველის მხრიდან არ მიიღებს სხვაგვარ მითითებას.

9.4. მყიდველისათვის ცნობილია, რომ მას ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს ინფორმაცია გამყიდველთან არსებული მისი პერსონალური მონაცემების თაობაზე, ასევე მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება. აგრეთვე, გამოიხმოს მისი თანხმობა, ნებისმიერ დროს, წერილობითი განცხადების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

9.5. პირადი მონაცემების დამუშავება, შენახვა და მასთან დაკავშირებული სხვა ქმედებები უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საწვავის ბარათის მიღების განცხადების შევსებასთან მყიდველი ხელს აწერს და ეთანხმება პირადი მონაცემების დამუშავების შესახებ თანხმობას, რომლის ფორმა მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №5-ში.

10. ინფორმაციის გაცვლა და შეტყობინებები

10.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის კომუნიკაცია ხდება წერილობითი, ზეპირი, ელ.ფოსტის ან სხვა ტექნიკური საშუალების მეშვეობით.

10.2. მხარები ვალდებულნი არიან ერთმანეთს დაუყონებლივ აცნობონ ხელშეკრულებაში მოცემული რომელიმე რეკვიზიტის ცვლილების შესახებ; შეუტყობინებლობის შემთხვევაში ნებისმიერი ინფორმაცია ითვლება მოქმედად და მასზე გაგზავნილი ინფორმაცია მხარისთვის ჩაბარებულად.

10.3. მხარეები თანხმდებიან, საკონტაქტო პირებისთვის მითითებულ ელ. ფოსტაზე ან/და მხარეთა ოფიციალურ ელ. ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინება ითვლება იურიდიული ძალის მქონედ, მეორე მხარის მიერ მისი დადასტურების შემთხვევაში.

10.4. მხარეთა შორის ელ-ფოსტის საშუალებით მიმოწერას აქვს იურიდიული ძალა და წამოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. მხარეები თანხმდებიან, რომ გამონაკლისის გარეშე ნებისმიერი საქმიანი

კორესპოდენდენცია, რომელიც გაგზავნილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული ელ-ფოსტიდან, წარმოადგენს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის მხრიდან ჯეროვნად გაგზავნილ კორესპონდენციას და ორივე მხარისათვის აქვს შესაბამისი სავალდებულო ძალა. დოკუმენტები, დაბეჭდილი საფოსტო ყუთიდან ,,სქრინ-შოტის" სახით, განიხილებიან როგორც დამამტკიცებელი საბუთი მომსახურების გაწევის, შესრულებული სამუშაოს, დადებული ხელშეკრულების ცვლილების და სხვა მნიშვნელოვანი მოქმედების ფაქტის თაობაზე ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ დოკუმენტის ორიგინალის წარმოდგენამდე. მხარეები ვალდებულებას იღებენ დაუყონებლივ აცნობონ ერთმანეთს მათ ელ-ფოსტასთან არასანქცირებული წვდომის თაობაზე. აღნიშნულის შეტყობინების არ არსებობა, ართმევს მეორე მხარეს უფლებას მიუთითოს მესამე პირის მიერ მის ელ-ფოსტაზე არასანქცირებულ წვდომაზე.

11. დავების გადაწყვეტა

11.1. მხარეები დავას გადაწყვეტენ მოლაპარაკების გზით.

11.2. მოლაპარაკების საშუალებით დავის გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია მიმაროს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. მხარეები თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

12. ფორს-მაჟორი

12.1. დაუძლეველი გარემოებების წარმოქმნის შემთხვევაში, რომლებიც წარმოიშვა და მოქმედებენ მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებლად და რომელიც მხარეს არ შეეძლო სცოდნოდა და აღმოეფხვრა, და თუ ეს გარემოებები ხელსუშლიან მხარეს ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, აღნიშნული პირისათვის ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევს დაუძლეველი გარემოების მოქმედების ვადით, მაგრამ არა უმეტეს 1 თვისა.

12.2. ფორს-მაჟორულ გარემოებებს განეკუთვენბა, მაგრამ არ შემოიფარგლება: ომი და საომარი მოქმედებები, მიწისძვრა, წყალდიდობა, და სხვა სტიქიური უბედურებები, რომლებიც აღიარა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმაართველოს ორგანოებმა სამართლებრივი აქტებით, ასევე სხვა გარემოებები, რომლებიც ხელს უშლიან მხარეებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში.

12.3. მხარე, რომელსაც არ შეუძლია ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, ვალდებულია წერილობითი ფორმით შეატყობინოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოებების დადგომის თაობაზე და მათ შესაძლო მოქმედების ვადაზე მათი დადგომიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში (მტკიცებულებას წარმოადგენს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი). წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარე, რომელიც არ ასრულებს ვალდებულებებს კარგავს შესაძლებლობას მიუთითოს ფროს-მაჟორულ გარემოებაზე როგორც წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან გათავისფულების საფუძველზე.

12.4. თუ ფორს-მაორული გარემოება და მისი ზემოქმედება მოქმედებს 1 თვეზე მეტი ვადით, მხარეები ორმხრივი შეთანხმებით იღებენ გადაწყვეტილებას წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

13. სხვა პირობები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერ ცვლილება, შესწორება და დამატება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი წერილობითი ფორმით შეთანხმებისა და ხელმოწერის შემდგომ და წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13.3. წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან ძალას კარგავს მხარეებს შორის გაფორმებული ყველა წერილობითი ან ზეპირი შეთანხმება, რაც დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან.

13.4. იურიდიული და ფაქტიური მისამართის, საბანკო ანგარიშისა და სხვა რეკვიზიტის ცვლილების შემთხვევაშ ხელშეკრულების მხარეების ვალდებულნი არიან შეატყობინონ ერთმანეთს ასეთი ცვლილებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში.

13.5. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ბათილობა ზემოქმედებას არ ახდენს ხელშეკრულების დანარჩენი მუხლების ქმედითობაზე.

13.6. წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები არ არიან უფლებამოსილნი გადასცეს, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი უფლებები ან მოვალეობები ნებისმიერ მესამე მხარეს, მეორე მხარისაგან წინასწარი წერილობითი თანხმობის მიღების გარეშე.

13.7. ხელშეკრულება შედეგნილია ქართულ და რუსულ ენებზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად. განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ ტექსტს.

14. მხარეთა რეკვიზიტები
გამყიდველი
შპს ,,ლუკოილ-ჯორჯია“
ს/კ 204976302
მისამართი: თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია
ელ-ფოსტა: info@lukoil.ge gmaisuradze@lukoil.ge

საბანკო რეკვიზიტები:

ა/ნ GE47TB7603136020100007
GE43VT6600000005881852
GE93BG0000000499206920

დირექტორი
მიხაილო ჯუროვიჩი

Mihajlo Durovic 01691046020
Digitally signed by Mihajlo Durovic
Date: 2022.04.19 17:11:59

მყიდველი
ა(ა)იპ ახალქალაქის სერვისცენტრი
ს/კ 423355407
მისამართი: ქ ახალქალაქი, ჩარენცის ქუჩა #11
ელ-ფოსტა: servicecenter654@gmail.com
დირექტორი მ. შ.

/ მხითარ რსტაკიან

Akhalkalaki Service Center
Подписано цифровой подписью: Akhalkalaki Service Center
Дата: 2022.04.19 17:39:29 +04'00'